

შპს ინგლიშ ბუქ ედუქეიშენ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

ფინანსური ანგარიშგებები

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	10
4. შესადარისი ინფორმაციის ცვლილება	11
5. ამონაგები	11
6. გაყიდვების თვითღირებულება	11
7. შრომის ანაზღაურება	12
8. გაყიდვის და მიწოდების ხარჯი	12
9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	13
10. ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	13
11. საინვესტიციო ქონება	14
12. ძირითადი საშუალებები	15
13. არამატერიალური აქტივები	16
14. მარაგები	17
15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17
16. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	17
17. საგადასახადო აქტივები/ვალდებულებები	17
18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
19. უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება	18
20. პირობითი ვალდებულებები	18
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	19
22. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	20

შპს ინგლიშ ბუქ ედუქეიშენ

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	5	8,731,146	6,865,315
გაყიდვების თვითღირებულება	6	(3,865,753)	(3,842,593)
საერთო მოგება		4,865,393	3,022,722
სხვა შემოსავალი		7,635	231,120
შრომის ანაზღაურება	7	(1,916,078)	(1,272,728)
გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	8	(293,567)	(295,374)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	9	(516,130)	(840,587)
ცვეთა და ამორტიზაცია		(400,097)	(458,320)
საოპერაციო მოგება		1,747,156	386,833
ფინანსური ხარჯი, წმინდა	10	(17,516)	(13,297)
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი, წმინდა		(359,607)	(262,363)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა		(127,001)	(8,979)
შემოსავალი ხელსაყრელი შესყიდვიდან		4,687	4,608,638
მოგება დაბეგვრამდე		1,247,719	4,710,832
მოგების გადასახადის ხარჯი		(119,839)	(54,799)
წლის სრული შემოსავალი		1,127,880	4,656,033

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 3 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

მაია გურგენიძე

შპს ინგლიშ ზუქ ედუქეიშენ

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება


2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	5	8,731,146	6,865,315
გაყიდვების თვითღირებულება	6	(3,865,753)	(3,842,593)
საერთო მოგება		4,865,393	3,022,722
სხვა შემოსავალი		7,635	231,120
შრომის ანაზღაურება	7	(1,916,078)	(1,272,728)
გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	8	(293,567)	(295,374)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	9	(516,130)	(840,587)
ცვთა და ამორტიზაცია		(400,097)	(458,320)
საოპერაციო მოგება		1,747,156	386,833
ფინანსური ხარჯი, წმინდა	10	(17,516)	(13,297)
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი, წმინდა		(359,607)	(262,363)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა		(127,001)	(8,979)
შემოსავალი ხელსაყრელი შესყიდვიდან		4,687	4,608,638
მოგება დაბეგვრამდე		1,247,719	4,710,832
მოგების გადასახადის ხარჯი		(119,839)	(54,799)
წლის სრული შემოსავალი		1,127,880	4,656,033

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 3 ოქტომბრის შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



მაია გურგენიძე



7-27 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ინგლიშ ბუქ ედუქეიშენ

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
საინვესტიციო ქონება	11	4,331,403	4,551,605
ძირითადი საშუალებები	12	499,446	459,680
ინვესტიციები შვილობილ საწარმოში		-	-
არამატერიალური აქტივები	13	80,243	22,067
		4,911,092	5,033,352
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	14	1,967,972	2,090,328
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	695,881	485,812
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	16	582,443	503,313
		3,246,296	3,079,453
სულ აქტივები		8,157,388	8,112,805
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
სხვა რეზერვები		-	8,458
გაუნაწილებელი მოგება		7,424,806	6,976,016
		7,424,806	6,984,474
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	17	29,071	38,558
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	703,511	1,089,773
		732,582	1,128,331
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		8,157,388	8,112,805

7-27 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ინგლიშ ბუქ ედუქეიშენ

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	სარეზერვო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2020 წლის 1 იანვარი	-	2,630,508	2,630,508
გაცემული დივიდენდი	-	(310,525)	(310,525)
წლის სრული შემოსავალი	-	4,656,033	4,656,033
სხვა	8,458	-	8,458
2020 წლის 31 დეკემბერი	8,458	6,976,016	6,984,474
გაცემული დივიდენდი	-	(679,090)	(679,090)
წლის სრული შემოსავალი	-	1,127,880	1,127,880
სხვა	(8,458)	-	(8,458)
2021 წლის 31 დეკემბერი	-	7,424,806	7,424,806

შპს ინგლიშ ბუქ ედუქეიშენ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ინგლიშ ბუქ ედუქეიშენ - კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2007 წლის 26 ივლისს. ის რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, თბილისში, ვაკის რაიონში, ფალიაშვილის ქუჩა N116, საიდენტიფიკაციო ნომრით: 205216023.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ინგლისური ენის სწავლება-პოპულარიზება, წიგნების რეალიზაცია.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან:

მფლობელები	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მაია გურგენიძე (01006014768)	100%	100%
	100%	100%

კომპანიის ფაქტიური მისამართია ქ.თბილისი, დიდი დილომი, ვეფხისტყაოსნის ქ. N 92.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს ინგლიშ ბუქ ედუქეიშენი წარმოადგენს მშობელ კომპანიას და ფინანსურ ანგარიშგებაში იკონსოლიდირებს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

- შპს წმ. გიორგის უნივერსიტეტი (405286168) - რომელიც 2018 წლის აგვისტოს თვეში დააფუძნა და მას შემდეგ არის 100%-იანი წილის მფლობელი.
- შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში (ს/ნ: 405365698) - 2019 წლის ნოემბრის თვეში შპს ინგლიშ ბუქ ედუქეიშენი გახდა 100%-იანი წილის მფლობელი.
- შპს Unique Learning (ს/ნ: 404921545) - 2020 წლის თებერვალში შპს ინგლიშ ბუქ ედუქეიშენი გახდა 100% წილის მქონე მშობელი კომპანია.
- შპს ოქლიფის სკოლა (ს/ნ: 215149284) - 2021 წლის იანვარში შპს ინგლიშ ბუქ ედუქეიშენმა შეისყიდა 100% წილი.

შპს ინგლიშ ბუქ ედუქეიშენ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ასევე შესადარისი მონაცემები მოცემულია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მიერ მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში მსს ფასს) მოთხოვნების შესაბამისად.

ჯგუფი იყენებს ერთი და იმავე სააღრიცხვო პოლიტიკას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა პერიოდისათვის. ეს სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაშია ყველა იმ სტანდარტთან, რომელიც ძალაშია კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი პერიოდებისთვის.

მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად წინასწარი ფინანსური ინფორმაციის მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას. მოითხოვება ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები, რომელთა მიმართ შედარებით მაღალი დონის განსჯის გამოყენებაა საჭირო, რთულია ან წინასწარი ფინანსური ინფორმაციისთვის მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოითხოვს, გამჟღავნებულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

რიცხვები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული. მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს იმ ქვეყნის ვალუტას, სადაც ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა) - ქართულ ლარს.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად, გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი განვითარების შესაძლო სცენარებიც. ხელმძღვანელობამ მიმოიხილა რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა ჯგუფის საქმიანობაზე, ლიკვიდურობასა, და დაფინანსებაზე. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობა მოელის გარკვეული სახის უარყოფით გავლენას საკუთარ საქმიანობაზე, მაგრამ თუ მოვლენები რადიკალურად არ დამძიმდება, ეს არ შეუქმნის რისკს ჯგუფის ფუნქციონირებას. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება საფუძვლიანია. ჯგუფის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება;
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზიარებასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმოქმნილი უფლებები;
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ჯგუფი ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ჯგუფი აქტივიდან სარგებლის მიღებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - ფინანსური აქტივები გაუფასურებაზე ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები ითვლება გაუფასურებულად, თუ არსებობს ობიექტური რწმუნება იმისა, რომ გარკვეულ ფაქტორებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის წარმოქმნის შემდეგ, შესაძლოა უარყოფითი გავლენა ქონდეს მომავალში მისაღებ ფულად სახსრებზე. ასევე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (მსდ) გასაზომად ჯგუფი აჯგუფებს სავაჭრო მოთხოვნებს მსგავსი ვადიანობისა და საკრედიტო რისკის საფუძველზე. მოსალოდნელი დანაკარგის განაკვეთის დაანგარიშება ეფუძნება ჯგუფის საკრედიტო ზარალების ბოლო სამი წლის ისტორიულ მონაცემს. საკრედიტო დანაკარგების ისტორიული განაკვეთები დაკორექტირებულია მიმდინარე და სამომავლოდ პროგნოზირებადი ინფორმაციით, იმ მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე, რომლებიც მოქმედებენ ჯგუფის მომხმარებლებზე. მეორეს მხრივ, აღნიშნული შეფასებები მოიცავს მომავალ დაშვებებს, შესაბამისა, მნიშვნელოვანმა და განუქცრეტელმა ცვლილებებმა, იმ დაშვებებსა და შეფასებებში, რომლებიც მონაწილეობენ გაუფასურების დაანგარიშებაში, შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი სხვაობა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციისგან.

დაბეგვრა - ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამოც ჯგუფში შემავალ კომპანიებს შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. ჯგუფის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

შპს ინგლიშ ბუქ ედუქეიშენ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

4. შესადარისი ინფორმაციის ცვლილება

კომპანიამ 2021 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში შეცვალა 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული სრული შემოსავლის ანგარიშგება.

	თანხა ცვლილებამდე	რეკლასიფიკაცია	თანხა ცვლილების შემდეგ
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
საოპერაციო მოგება			
სხვა შემოსავალი	390,043	(158,923)	231,120
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(1,008,489)	167,902	(840,587)
წლის სრული შემოსავალი			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი, წმინდა	-	(8,979)	(8,979)
	(618,446)	-	(618,446)

5. ამონაგები

ამონაგები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

	2021	2020
შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან	7,799,425	6,216,453
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	931,721	648,862
	8,731,146	6,865,315

6. გაყიდვების თვითღირებულება

გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს წლის განმავლობაში რეალიზებული წიგნების თვითღირებულებას. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები). რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი. რაც შეეხება მომსახურების თვითღირებულებას, აქ შედის სასწავლო კურსების მასწავლებლების და ტრენერების ხელფასები, ასევე წლის განმავლობაში განხორციელებულ პროექტებზე გაწეული ხარჯები, როგორცაა გამოცდების ორგანიზების, გაცვლითი პროგრამების და სხვა მსგავსი ხარჯები. გაყიდვების თვითღირებულება 2021 და 2020 წლების განმავლობაში მარაგების ბრუნვის და მომსახურების მიხედვით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შპს ინგლიშ ბუქ ედუქეიშენ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

6. გაყიდვების თვითღირებულება (გაგრძელება)

	2021	2020
პროდუქციის თვითღირებულება	(3,130,480)	(3,370,565)
მომსახურების თვითღირებულება	(606,707)	(439,207)
იჯარის ხარჯი	(128,566)	(32,821)
	(3,865,753)	(3,842,593)

7. შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურების ხარჯი შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

	2021	2020
ხელფასი	(1,888,084)	(1,267,319)
სხვა სარგებელი	(27,994)	(5,409)
	(1,916,078)	(1,272,728)

8. გაყიდვის და მიწოდების ხარჯი

გაყიდვის და მიწოდების ხარჯი შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

	2021	2020
მარკეტინგული ხარჯი	(219,221)	(229,785)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	(72,140)	(10,642)
მივლინების ხარჯი	(859)	(54,947)
სხვა ხარჯი	(1,347)	-
	(293,567)	(295,374)

შპს ინგლიშ ბუქ ედუქეიშენ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
საგადასახადო ხარჯი	(125,623)	(360,161)
დაზღვევის ხარჯი	(23,089)	(109,817)
ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯი	(41,252)	(71,472)
საოფისე ხარჯი	(31,189)	(51,057)
მივლინების ხარჯი	(3,326)	(34,512)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი	(54,073)	(37,955)
საბანკო ხარჯი	(25,729)	(45,046)
აკრედიტაციის ხარჯი	(2,283)	(30,466)
საკონსულტაციო ხარჯი	(56,667)	(25,657)
საპენსიო შენატანის ხარჯი	(40,536)	(24,705)
უსაფრთხოების ხარჯი	(26,765)	(25,885)
იჯარის ხარჯი	(63,741)	(7,251)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(8,321)	(987)
თანამშრომლების ტრენინგების ხარჯი	(6,664)	(2,307)
სხვა ხარჯი	(6,872)	(13,309)
	(516,130)	(840,587)

10. ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა

ფინანსური შემოსავლები და ხარჯები წამოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
ფინანსური შემოსავალი		
საპროცენტო შემოსავალი	15,418	16,061
	15,418	16,061
ფინანსური ხარჯი		
საპროცენტო ხარჯი	(32,934)	(29,358)
	(32,934)	(29,358)
	(17,516)	(13,297)

შპს ინგლიშ ბუქ ედუქეიშენ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

11. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	სულ
2020 წლის 1 იანვარი	-	453,194	453,194
შემოსვლა	155,198	4,543,378	4,698,576
გასვლა	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	155,198	4,996,572	5,151,770
შემოსვლა	-	91,643	91,643
გასვლა	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	155,198	5,088,215	5,243,413
დაგროვილი ცვეთა			
ბალანსი 2020 წლის 1 იანვარი	-	(166,171)	(166,171)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	-	(433,994)	(433,994)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	-
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	-	(600,165)	(600,165)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	-	(311,845)	(311,845)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	-
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერი	-	(912,010)	(912,010)
საბალანსო ღირებულება			
2019 წლის 31 დეკემბერი	155,198	4,396,407	4,551,605
2020 წლის 31 დეკემბერი	155,198	4,176,205	4,331,403

შპს ინგლიშ ბუქ ედუკეიშენ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

12. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
2020 წლის 1 იანვარი	690	364,727	74,339	154,282	-	594,038
შემოსვლა	-	168,779	142,755	-	165,416	476,950
გასვლა	-	(41,507)	-	-	(58,357)	(99,864)
2020 წლის 31 დეკემბერი	690	491,999	217,094	154,282	107,059	971,124
შემოსვლა	-	53,416	75,001	42,000	134,676	305,093
გასვლა	-	(285,300)	(9,562)	-	-	(294,862)
2021 წლის 31 დეკემბერი	690	260,115	282,533	196,282	241,735	981,355
დაგროვილი ცვეთა						
ბალანსი 2020 წლის 1 იანვარი	(449)	(192,850)	(72,665)	(154,282)	-	(420,246)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(104)	(52,652)	(23,210)	-	(21,773)	(97,739)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	6,541	-	-	-	6,541
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	(553)	(238,961)	(95,875)	(154,282)	(21,773)	(511,444)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(68)	(64,239)	(34,700)	(8,400)	(45,914)	(153,320)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	173,293	9,562	-	-	182,855
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერი	(621)	(129,907)	(121,013)	(162,682)	(67,687)	(481,909)
საბალანსო ღირებულება						
2020 წლის 31 დეკემბერი	137	253,038	121,219	-	85,286	459,680
2021 წლის 31 დეკემბერი	69	130,208	161,520	33,600	174,049	499,446

შპს ინგლიშ ბუქ ედუკეიშენ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

13. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	ლიცენზიები	ვებ-გვერდი	სხვა	სულ
2020 წლის 1 იანვარი	23,772	-	-	23,772
შემოსვლა	-	19,554	2,745	22,299
გასვლა	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	23,772	19,554	2,745	46,071
შემოსვლა	55,804	-	-	55,804
გასვლა	(992)	-	(2,745)	(3,737)
2021 წლის 31 დეკემბერი	78,584	19,554	-	98,138
დაგროვილი ცვეთა				
ბალანსი 2020 წლის 1 იანვარი	(20,659)	-	-	(20,659)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(1,195)	-	(2,150)	(3,345)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	-	-
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	(21,854)	-	(2,150)	(24,004)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(3,300)	-	(1,407)	(4,707)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	7,259	-	3,557	10,816
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	(17,895)	-	-	(17,895)
საბალანსო ღირებულება				
2020 წლის 31 დეკემბერი	1,918	19,554	595	22,067
2021 წლის 31 დეკემბერი	60,689	19,554	-	80,243

შპს ინგლიშ ბუქ ედუქეიშენ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

14. მარაგები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
წიგნები	1,922,103	2,084,684
საწვავი	2,349	2,022
სხვა მარაგები	43,520	3,622
	1,967,972	2,090,328

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	514,059	314,334
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	2,000	808
სულ ფინანსური მოთხოვნები	516,059	315,142
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	179,822	170,670
სულ არაფინანსური მოთხოვნები	179,822	170,670
სულ	695,881	485,812

16. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ნაღდი ფული სალაროში	1,789	1,102
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	229,006	380,800
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	351,648	121,411
	582,443	503,313

17. საგადასახადო აქტივები/ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ნეტო საფუძველზე - 29,071 ლარი (ვალდებულება) და 38,558 ლარი (ვალდებულება).

შპს ინგლიშ ბუქ ედუქეიშენ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	198,640	1,009,080
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	1,068	-
სხვა ვალდებულებები	8,988	9,678
სულ ფინანსური ვალდებულებები	208,696	1,018,758
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	494,815	71,015
სულ არაფინანსური ვალდებულებები	494,815	71,015
სულ	703,511	1,089,773

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე.

19. უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება შემდეგნაირად:

	2021	2020
უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება	438,329	378,065
	438,329	378,065

20. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს ჯგუფში შემავალი არცერთი კომპანია არ მონაწილეობდა რაიმე მნიშვნელოვან სასამართლო დავაში. ხელმძღვანელობის აზრით არ წარმოიქმნება რაიმე არსებითი, დაურიცხავი ზარალი და შესაბამისად, წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი შექმნილი არ არის.

გადასახადები - ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამოც ჯგუფს შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება,

20. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც ჯგუფს თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება ჯგუფის კომპანიებს წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის თებერვალში რუსეთის ფედერაციამ დაიწყო საომარი მოქმედებები უკრაინის ტერიტორიაზე, რომელიც ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა. ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის საომარი მდგომარეობა არ დასრულებულა. ხელმძღვანელობა ამ ეტაპზე ვერ აფასებს აღნიშნული ომის გავლენას (ან შესაძლო გავლენას) ჯგუფის საქმიანობაზე.

რაც შეეხება სხვა ცვლილებებს, 2022 წელს შპს ინგლიშ ბუქ ედუქეიშენ-მა გაიზარდა არსებული შვილობილი კომპანიების საწესდებო კაპიტალში შენატანები. ჯამში 2022 წლის მიმდინარე პერიოდამდე კომპანიის მიერ დამატებით განხორციელებულმა ინვესტიციებმა შეადგინა 923,500 ლარი.

გარდა ამისა, 2022 წელს მოხდა ჯგუფიდან პარტნიორზე დივიდენდების გაცემა, რამაც 2022 წლის 1 იანვრიდან, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე ჯამურად შეადგინა 511,754 ლარი.

შპს ინგლიშ ბუქ ედუქეიშენ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

22. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკები ვრცელდება ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგენილ ყველა პერიოდზე, თუ საწინააღმდეგო არ არის ნათქვამი.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

თავის ოპერაციებში ჯგუფი ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯგუფის ოპერაციებზე. შესაბამისად მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასება არ ეხება არამონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსები იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	USD	EUR	GBP
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	3.0976	3.5040	4.1737
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	3.2766	4.0233	4.4529

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებსა და ფულსა და ფულის ექვივალენტებს.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული

22. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს, რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულს გზაში, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა.

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და

22. ძირითადი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ამონაგები

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

ჯგუფი იყენებს ხუთ ეტაპიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

- საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;
- მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს;
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგები აღიარდება მომსახურების დასრულებისას, როდესაც დაკმაყოფილებულია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- ამონაგების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია;
- მოსალოდნელია, რომ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

22. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დარიცხვის მეთოდით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. ამ მეთოდის შესაბამისად გადავადდება ყველა ის საკომისიო ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია სესხის მიღებასთან, რადგანაც ოპერაციის ხარჯები ჩართულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღეს ჯგუფის კომპანიებმა დასაქმებულისგან.

დაბეგვრა

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდი ბოლოსთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15 %, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არარეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

დივიდენდების განაწილების გარდა საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით

იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

ჯგუფი აღიარებს მოგების გადასახადს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა. საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან

22. ძირითადი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, აღიარდება მავალდებულებელი მოვლენის წარმოქმნის დროს. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ავალდებულებს კომპანიას გადაიხადოს გადასახადი. გადასახადები დაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარდება აქტივად.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის შეძენასთან. კერძოდ:

- შესყიდვის ფასს, მათ შორის საბაჟო გადასახადს და აუნაზღაურებად შესყიდვის გადასახადს, სავაჭრო ფასდაკლებებისა და ფასდათმობების გამოქვითვის შემდეგ;
- ნებისმიერ დანახარჯს, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სახით აქტივის მოხმარებისთვის საჭირო ადგილზე განთავსებისა და საჭირო მდგომარეობაში მოყვანისთვის;
- აქტივის დემონტაჟის, გატანისა და ტერიტორიის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას;
- მოვალეობას, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის მიერ აქტივის შეძენის შემდეგ ან გარკვეულ პერიოდში აქტივის მარაგის წარმოების გარდა სხვა მიზნით გამოყენების შედეგად.

საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივების ღირებულება მოიცავს პირდაპირი შრომისა და გამოყენებული მასალების ღირებულებას, ასევე აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის დანახარჯს და ნივთების დემონტაჟისა და თავიანთი ადგილმდებარეობიდან მოხსნის ღირებულებას. ძირითადი საშუალებისთვის შეძენილი კომპიუტერული პროგრამა, რომელიც მისი ფუნქციონალურობისათვის აუცილებელია, კაპიტალიზდება როგორც შესაბამისი ძირითადი საშუალების ნაწილი. როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადა ერთმანეთისაგან განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალებების ცალ-ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად).

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული სარგებელი ან დანაკარგი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა და, შესაბამისად, აისახება მოგება ან ზარალში სხვა შემოსავლების/სხვა ხარჯების ნაწილში.

შემდგომი ხარჯები

თავდაპირველი აღიარების შემდგომი კაპიტალიზებადი ხარჯები მოიცავს რემონტისა და აქტივის შეცვლის იმ დანახარჯებს, რომლებიც ახანგრძლივებს აქტივის სასიცოცხლო ვადას ან ზრდის მწარმოებლურობას. რემონტისა და შენახვის ხარჯები, რომლებიც არ აკმაყოფილებს კაპიტალიზებადი ხარჯების კრიტერიუმებს, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ის გაიწევა,

22. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ცვეთის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზაობის დღიდან. ცვეთა იანგარიშება ცვეთადი ღირებულებიდან, რომელიც არის აქტივის თვითღირებულებას გამოკლებული აქტივის ნარჩენი ღირებულება.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განთავსებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ძირითადი საშუალებების კატეგორიები

სასარგებლო მომსახურების ვადები

შენობა-ნაგებობები	20 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5 წელი
სატრასპორტო საშუალებები	5 წელი
საოფისე აღჭურვილობა	5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 წელი
ელექტრონული მოწყობილობები	5 წელი
სხვა	5 წელი

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაისინჯება. ადრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელსაც ჯგუფი ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორიცაა გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. ჯგუფი საინვესტიციო ქონების აღრიცხვისთვის იყენებს თვითღირებულების მოდელს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება

22. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

და ხდება მისი შეფასება თვითღირებულების მოდელით, რომელიც გულისხმობს გაუფასურებით შემცირებულ თვითღირებულებასა და ანაზღაურებად ღირებულებას შორის უმცირესი თანხას.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება ისეთ არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც ან გამოყენების პროცესშია, ან გამიზნულია გასაყიდად, იმ შემთხვევაში თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუფასურების ზარალის შემცირების ან აღმოფხვრის რაიმე ნიშნის გამოსავლენად ხელახლა ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. გაუფასურების ზარალი კორექტირდება, თუ ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებაში გამოყენებულ დაშვებებში ცვლილებას ჰქონდა ადგილი. გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზღვრამდე, სანამ აქტივის საბალანსო ღირებულება არ მიაღწევს იმ ღირებულებას, ცვეთისა და ამორტიზაციის გათვალისწინებით, რაც ექნებოდა აქტივს, გაუფასურება რომ არ მომხდარიყო.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომი აღრიცხვა თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

ჯგუფის ბალანსზე არსებული მარაგები წარმოდგენილია წიგნების სახით, რომელიც განკუთვნილია გასაყიდად. ასევე, საწვავის სახით რომელიც გამოიყენება საოპერაციო საქმიანობაში.

მარაგის ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდის მიხედვით.

საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი არის სხვაობა აღიარებულ აქტივებსა და აღიარებულ ვალდებულებებს შორის. წარმოდგენილ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ჯგუფის საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალის, რეზერვებისა და დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისგან.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფის კომპანიებიდან, და შესაძლებელია ამ

22. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ჯგუფში ანარიცხი აღიარდება, როდესაც:

- ჯგუფს აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ჯგუფი საექვო ვალების ანარიცხებს ქმნის, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საექვო ვალების ანარიცხების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძველად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს. ეკონომიკაში, დარგში ან კონკრეტული მომხმარებლის გარემოებების ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საექვო ვალების ანარიცხების ცვლილება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.